ტფილისი

კვირა, 21 დეკემბერი 1903 წ.   1877 წელიწადი ოც-დამეშვიდე 1903   კვირა, 21 დეკემბერი 1903 წ.

ივერია

№ 273 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 273

გაზეთის ფასი:

12 თვით	10 მ.	— კ.
11 ,,	9 ,,	50 ,,
10 ,,	8 ,,	75 ,,
9 ,,	8 ,,	— ,,
8 ,,	7 ,,	25 ,,
7 ,,	6 ,,	50 ,,
6 ,,	6 ,,	— ,,
5 ,,	5 ,,	50 ,,
4 ,,	4 ,,	75 ,,
3 ,,	3 ,,	50 ,,
2 ,,	2 ,,	75 ,,
1 ,,	1 ,,	50 ,,

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა:

1. ხელის მოწერის დროს — 5 მ. და თიბათვის 1-ს — 5 მ.
2. ხელის მოწერის დროს — 4 მ., მარტის 1-ს — 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს — 3 მ.
3. ხელის მოწერის დროს — 3 მ., მარტის 1-ს — 3 მ. თიბათვის 1 ს — 2 მ. და ენკენისთვის 1-ს — 2 მ.

ვინც ამ ვადაზე ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ ათ ი თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 **წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ** 1 თებერვლამდე, **დაურიგდებათ პრემიად** გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი **„ალდგომა“** („Воскресеніе“),

5 **მანეთად ტფილისში** და 7 **მანეთად ტფილისს გარეშე** დაეთმობათ გაზეთი უფრო **მიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს.**

ხელის-მოწერა მიიღება:

გაზ. „ივერიის“ **რედაქცია** ყოველ-დღე ღიაა პირის-პირ მოსალაპარაკებლად დილის 12-დამ 2 საათამდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარს მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

გაზ. „ივერიის“ **კონტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

ტფილისში:—«ივერიის» რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბესარიონ შენგელიას და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და შელიძის წიგნის მაღაზიაში,
საბუნჩოში:—პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ხასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების.

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აქვიდე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიე ფასად.

მოსწავლე ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**

ყირარდის მანუფაქტურის საწყობი

სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა

მომავალ სეზონისათვის მიღებულია და ყოველ-დღე მოდის დიდ-ძალი რუსეთისა და საზღვარ გარეთის ნაწარმოები მაღალ-ღირსებისა და მებელების მატერიები, ფარდეპი, ხალიჩები, საფიანდაზო, ბაზრობა, ზეწრები და სხვ ხელოვნური ტყავი „Pantasote“ სხვა-და სხვა ფერისა.

ლინოლიუმი იატაკზე დასაგები, პარკეტის მაგივრა. ლინოლეუმი—ხალიჩა და ფიანდაზი, კლეონკა.

დონნერი და ლეტცი.

ქართული თეატრი

კვირას, 21 დეკემბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

I

ხალხის მტერი

ანუ

ექიმი შტოკმანი

დრამა 5 მოქ. ჰ. იბსენისა თარგ. პოლუმორდვინოვისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. დავითიშვილისა, ა. კარგარეთელისა, ე. ჩერქეზიშვილისა.

ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე. საფაროვი გ. უიფიანი, კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი.**

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის.

(წლ.)

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

კვირას, 21 დეკემბერს 1903 წ.

წარმოდგენილი იქნება

კარმენი

ოპერა 3 მოქ. მუს. ესპოზიტოსი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: არციბაშევა, კარრი, სელიუკ-როზნატოვსკაია, გ. სტრელსკაია; ბ-ნნი: დარსკი, სელიავინი, ილიუშენკო, კლადკოვი, თულაევი, რქანოვი, სანგურსკი, ფედოროვი, ნოვიცკი.

კაპელმეისტერი ბ-ნი პოზენი

უფროსი რეჟისორი ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ორშაბათს, 22 დეკემბერს, ბენეფისი la-cation-ის კასსირისა. წარმოდგენილ იქმნება «ფაუსტი» გალპურგის ღამით, მუსიკა გუნოსი.

ექიმი

პ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

პ. ი. ჟიჟინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

პ. დ. ლამბაშიძე. შინაგ და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მოლინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. გ. სოგოლევსკი—ღოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. აპეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

მ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ტფილისი, 21 დეკემბერი.

ჩვენ, ქართველებს, სხვათა შორის ერთი დიდი ნაკლი გვჭირს: საზოგადოებრივს სენს ან სრულიად ვმალავთ და ანისე საშინლად ვაზვიადებთ, ისეთს საყოველთაო მნიშვნელობას ვაძლევთ, რომ გულს ვუკლავთ, იმედს ვუსპობთ უიმისოდაც დაჩაგრულს ქართველობასა.

ეს უკანასკნელი შეცდომა მოუვიდა ამ დღეებში ბ-ნს ქაიხოსრო გელოვანსა, რომელმაც ჩვენს გაზეთში დაბეჭდა წერილი ამ სათაურით: „ოჯახებში ვინ გვიშლის“. ავტორის სიტყვით, ამ ჟამად სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებში ქართული ენა სრულიად მოსპობილია და, თუმცა ვცდილობთ მის აღდგენასა, მაგრამ ამავე დროს თვითონ ჩვენს ოჯახში, სახლობაში, სადაც ჩვენ სრული ბატონობა გვეკუთვნის, დედა-ენა ათვალწუნებული გვაქვს და გაუქმებულიო.

არც ერთს მიკროსკოპს არ შეუძლიან იმდენად გაზვიადოს რომელიმე საგანი, როგორც აქ არის გაზვიადებული სამწუხარო მოვლენა, რომელსაც ფაქტიურად კერძო მნიშვნელობა აქვს და ავტორს-კი საზოგადო სენად გამოჰყავს. ეს გაზვიადება ჩვენის ეროვნების მტერს ხელში მისცემს მარჯვე იარაღს, უნარსა და გაბედულობას განუძლიერებს, ხოლო მოყვარეს უიმედობით მოსწამლავს.

მართალია, სამეგრელოსა და სვანეთის სადირექციო სკოლებს, კაი ხანია, მოაკლდა ქართულის ენისა და წიგნის სწავლება; მაგრამ სამრევლო სკოლებში ჯეროვანი ადგილი ეჭირა ჩვენს დედა-ენასა და ახლაც უჭირავს, რადგანაც ამგვარს სკოლაში სწავლება არ შეიძლება არ იყოს იმ ენაზედ, რომელზედაც სრულდება წირვა-ლოცვა და ქადაგება. ისიც მართალია, რომ ზოგი გავლენიანი კაცი დიდად ცდილობდა უმაღლესის მთავრობის წინაშე, რათა სამრევლო სკოლები დაემორჩილებინათ იმავე რეჟიმისათვის, იმავე გეგმისათვის, რომელიც შემოღებულია სადირექციო სკოლებში; მაგრამ ეს შუამდგომლობა შეწყნარებული არ იქმნა. სიმართლის გამარჯვებას მეტად ხელი შეუწყო ასეთმა გარემოებამა.

მკითხველს მოეხსენება, რომ სატახტო ქალაქებში გავრცელებული იყო ის აზრი და ხმა, ვითომც მეგრელები და სვანები ქართველს ტომს არ ეკუთვნოდნენ, მათი ენა ქართულის მოდგმის ენა არ იყოს, და ქართველები თავის გაძლიერებისათვის ცდილობდნენ მათს გაქართველებას, პანგრუზინიზმის გავრცელებასა კავკასიაში. ეს ჭორი არა ერთხელ გატარებული იყო განსაკუთრებულს მოხსენებაში და ბოლოს საჯარო ლექციაშიც წარმოსთქვა შარშან პეტერბურგში ბ-ნმა სელივანოვმა, წარმოსთქვა დიდის რიხით და თითქმის მუქარითაც. ზოგი ქართველი, დიდი ხანია, ცდილობდა რუსეთის საზოგადოებასა და მთავრობისათვის შეეტყობინებინა სიმართლე, საკითხისათვის მოეფინა ჯეროვანი სინათლე, მაგრამ რუსული პერიოდული ორგანოები არ აძლევდნენ ადგილს გაგზავნილს წერილებსა. ბოლოს წრეულს თებერვალში თავადმა უხტომსკიმ თავის გაზეთში „Петербургскія Вѣдомости“-ში დაბეჭდა ვრცელი წერილი სამეგრელოს სკოლების შესახებ, რომელმაც აშკარად დაანახვა საზოგადოებასაც და მთავრობასიც, რომ ქართველები-კი არ ცდილობენ ვითომ არა ქართველების—მეგრელების და სვანების—გაქართველებას, არამედ პოლიტიკანები არიან მოწადინებულნი ეს ნამდვილნი ქართველნი გადააქართველონ, გადააგვარონ და მოსწყვიტონ თავისს ღვიძლს ერსა. ამ რუსულს ენაზე დაწერილს სტატიას მოჰყვა ჩინებული წერილი სამეგრელოსავე შვილისა ბ-ნ ლოლუასი იმავე საკითხის შესახებ და საგანი განათებულ და გაკაშკაშებულ იქმნა ყოველის მხრივ ორსავე ენაზედ. მეტიც მოხდა. ერთმა მარჯვე და ქვეყნისათვის გულშემატკივარმა ქართველმა პეტერბურგში გადაბეჭდა ცალკე ლამაზ წიგნაკად თ-დ უხტომსკის გაზეთში მოთავსებული სტატია სამეგრელოს სკოლების შესახებ, და ეს წიგნაკი სეკდემბრის თვეშივე გაჩნდა ყველა სახელმწიფო საბჭოს და სინოდის წევრის წინაშე და იქმნა გადაკითხული...

ერთის სიტყვით, ბოროტი არაკი შესახებ მეგრელებისა და სვანების არა ქართველობისა გამტყუნებულ და დანიავებულ იქმნა იმათ თვალშიც, ვისზედაც უმაღლესად დამოკიდებულია ამ საკითხის გადაწყვეტა და ჯეროვანის განკარგულების დადგენა.

ამან მოიტანა აი რა ნაყოფი: ერთი გავლენიანი კაცი ივლისში ამბობდა: სეკდემბრიდგან სამეგრელოსა და სვანეთის სამრევლო სკოლებში ქართული ენა მოისპობაო, და სეკდემბრის გასულს-კი განაცხადა, რომ უმაღლესის მთავრობის წინაშე აქედგან წარდგენილი შუამდგომლობა ამ მოსპობის შესახებ შეწყნარებულ არ იქმნებაო და ქართული ენა ისევ რჩებაო.

დანარჩენი შემდეგ იყოს.

ტფილისი

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასს აზრად აქვს მომავალ დღესასწაულებში საარტისტო საზოგადოების თეატრში წარმოადგინოს ქართულად თავ. სუმბათაშვილის დრამა „ღალატი“ საკონცერტო განყოფილებით.

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს საზღვარ გარეთიდგან სამეურნეო იარაღის უბაჟოდ შემოტანისა კავკასიაში. საბჭო სთხოვს, ასეთი შეღავათი სამის წლის განმავლობაში გვქონდესო.

22 დეკემბერს ტფილისის ქალაქის საბჭო განიხილავს იმ კომისსიის მოხსენებას, რომელსაც უნდა გამოერკვია, ირ. ფურცელაძემ მართლა მიითვისა ქალაქის მამული თუ არა.

დასრულდა ტფილისის ცეცხლის მქრობელი რაზმის ახალი შენობა. ქალაქის გამგეობა შენობას დღეს ჩაიბარებს. დღესვე აკურთხებენ ამ შენობას.

ქალაქის გამგეობას აზრად ჰქონდა საელექტრონო სადგური გაეკეთებინა ქალაქის ადგილზე, რომელიც დიდის მთავრის ქუჩის მახლობლად მდებარეობს. ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქის გამგეობის წევრმა ბ-ნმა ენფიანჯიანცმა განაცხადა, ეს ადგილი უვარგისი არის საელექტრონო სადგურის შენობისათვისაო. საქმე ამიტომ შეჩერდა. ხმოსნებმა დაიწყეს საყვედურის გამოცხადება, ქალაქის გამგეობას ტყუილად შეაჩერებინა საქმე ბ-ნმა ენფიანჯიანცმაო. ბ-ნმა ენფიანჯიანცმა ქალაქის თავს გუშინწინ ქაღალდი მისცა, ამოირჩიოს ქალაქის საბჭომ კომისია და მან წარმოსთქვას თავისი აზრი ამ ადგილის შესახებაო.

18 იანვარს მომავალ წლისას დანიშნულია ტფილისის ვაჭართა საზოგადოების წევრთა კრება. კრებას რამდენიმე საყურადღებო საქმე აქვს განსახილველი.

18 დეკემბერს ფოთის ქალაქის თავმა ნ. ნიკოლაძემ პეტერბურგიდან დეპეშით შეატყობინა თავისს მოადგილეს ი. ფანცხავას, უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორმა გამომიცხადა, რომ გურია-სამეგრელოს საეპარქიო კათედრის გადატანა ფოთიდან ბათუმში შეჩერებულია და ეს საკითხი დიდ ხნობამდე არ გადაწყდებაო.

22 დეკემბრისათვის, რუსეთის გაზეთების სიტყვით, ერევანში დანიშნულია განსახილველად საქმე იმ წინააღმდეგობის შესახებ, რომელიც მოხელეებს გაუწიეს უმაღლეს ბრძანების სისრულეში მოყვანისა და სომეხთა საეკლესიო ქონების ჩამორთმევის დროს. მოსკოვიდან ბრალდებულთა დასაცველად მოვლენ გამოჩენილი ნაფიცი ვექილები.

პეტერბურგში 7 დეკემბერს გამართულს საღამოს ქართველ ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ 300 მანეთი ზარალი მიუცია. იანვარში კიდევ აპირებენ თურმე მეჯლისის გამართვას.

ტფილისში დაბრუნდა ქუთაისის გუბერნიიდან მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის კანცელარიის აგრონომი ს. ნ. ტიმოფეევი. ახალსენაკსა, ზუგდიდსა, ოზურგეთსა და სოხუმში ბ-ნ ტიმოფეევს მოლაპარაკება ჰქონია იქაურ ადმინისტრაციასა და მემამულეებთან სიმინდის პეპელას წინააღმდეგ ღონისძიებათა მიღების შესახებ. სხვათა შორის, საჭიროდ უცვნიათ, სოფლად საუბრები გამართონ ამ საგნის შესახებ.

ტფილისის მოქალაქეთა სარევიზიო კომისიას განუზრახავს საგანგებო კრება დანიშნოს ტფილისის მოქალაქეებისა და აუწყოს უწესოება, რომელიც აღმოაჩინა სარევიზიო კომისიამ მოულოდნელ რევიზიის დროს.

ტფილისის ქალაქის მოურავმა მისწერა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციას, მეტი ყურადღება მიაქციეთ ვაჭრობის წესრიგს ტფილისის ბაზრებშიო.

რადგან დღესასწაულები მოახლოვდა, ამიტომ ტფილისის პოლიცმეისტერმა ნება დართო ყველა მოვაჭრეებს, რომ მთელი დღე ივაჭრონ დღეს, 21 დეკემბერს.

დღეს ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში ტფილისის ხელოსანთა კრებაა დანიშნული. კრება სამარხი კასის დაარსების შესახებ მოილაპარაკებს.

სახელმწიფო გადასახადი ჰხდებათ არა მარტო ნავთით მოვაჭრეებს, იმათაც-კი, რომელნიც ქუჩა-ქუჩა ატარებენ ნავთს და ისე ჰყიდიან. ვისაც ნავთის გაყიდვა უნდა ქუჩა-ქაჩა, მან პოლიცმეისტრისაგან უნდა აიღოს მოწმობა. ტფილისის პოლიცმეისტერმა მისწერა საპოლიციო უბნების ბოქაულთ, თვალყური გეჭიროთ რომ უმოწმობოდ არავინ გაჰყიდოს ნავთიო. ვისაც უმოწმობოდ ნახავენ, პასუხის გებაში მესცემენ.

18 დეკემბერს კრება ჰქონდა კავკასიის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოებას. კრებამ მოისმინა საზოგადოების ნამდვილ წევრის ბ-ნ არაგელიანის მოხსენება ,,ქურდები სპარსეთში'' და აირჩია საზოგადოების ნამდვილი წევრნი. ნამდვილ წევრებად არჩეულ იქმნა რვა კაცი.

შარშან ღორის ხორცი ტფილისში ძალიან ძვირობდა. როგორც ეტყობა, არც წრეულს იქნება იაფი, რადგან ცოტა ღორები მორეკეს. ხორცის ნიხრის გამწესებელ კომისიამაც სცადა, ღორის ხორცი გააიეფებინა, მაგრამ შეუძლოდ დაინახა.

ქალაქის გამგეობამ 2000 მანეთი გადასდო იოანნე ღვთის მეტყველის ეკლესიის მახლობლად მდებარე ქუჩის მოსაკირწყლავად. ქუჩა მოიკირწყლება ბ-ნ ენფიანჯიანცის ზედამხედველობით.

სოფ. მაღაროში (სიღნაღის მაზრა) ბავშვებს შორის ხუნაგი გაჩენილა. ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად მკურნალი იქმნა გაგზავნილი.

ამ ჟამად დიდძალი გადასახადია დარჩენილი ოლგას საბებიო ინსტიტუტზედ. ამიტომ საბებიო ინსტიტუტის დირექტორმა შუამდგომლობით მიჰმართა ტფილისის ქალაქის გამგეობას, ეს გადასახადი გვაპატიეთო. ამასთანავე დირექტორი სწერს, საბებიო ინსტიტუტი სწავლის გამავრცელებელ დაწესებულებას ეკუთვნის და ამიტომ გადასახადი არ უნდა შეეწეროსო. ქალაქის გამგეობა დირექტორის მოწერილ წერილს ჩქარა განიხილავს.

ჩვენი თანამშრომელი დიმიტრი ხოშტარია დანიშნეს ერევნის საგლეხო საკრებულოს წევრად.

როგორც გვატყობინებენ, დ. ნ. ჭავჭავაძე ინიშნება მომრიგებელ შუაკაცად ახალქალაქის მაზრაში.

გუშინ რუსეთიდგან ფოსტა თავის დროს არ მოვიდა. ეტყობა, გზა გაფუჭებული ყოფილა,

---

ბათუმის ქალაქის საბჭო. წაიკითხა მოხსენება გამგეობის წევრმა გ. დ. ჟურულმა. „ქალაქის გამგეობამ,—სთქვა ბ-ნმა ჟურულმა,— დიდი ხანია ცდილობს გააუმჯობესოს ჩვენის ქალაქის ის მოედნები, სადაც კვირაუქმე დღეობით იმართება „ბაზრობა“, მაგრამ საშუალების უქონლობისა გამო დღემდის გამგეობა იძულებული იყო განესაზღვრა თავისი სურვილი „უსაჭიროეს“ გაუმჯობესებითო. „ნურიის“ მოედანი, რომელიც ერთი უდიდეს მოედანთაგანია ბათუმში, არ არის მოკირწყლული; ამიტომ ავდარში დიდი ტალახები და წუმპეები ჩნდება ზედაო. საჭიროა, მალე მოიკირწყლოს ეს მოედანი, მაგრამ, საუბედუროდ, ამისათვის საშუალება არა გვაქვს, უნდა გამოვნახოთ რაიმე ღონისძიებაო.

შემდეგ ბ-ნმა ჟურულმა განმარტა თავის ის ერთად-ერთი საშუალება, რომლის შემწეობითაც შესამჩნევათ გაუადვილდება ქალაქს ზემოხსენებულ მოედნის მოკირწყვლა. მაგალითად: შეეწეროს minimum-ი გადასახადისა (დღეში 10 კ.) იმ ვაჭრებს, რომელიც მუდამ ვაჭრობენ, როგორც „ნურიის“ მოედანზე, ისე ეგრედ წოდებულ „სკვერზე“;—მოედანი-კი დაუთმოთ უფასოდ სოფლელებსაო. ყოველ „ბაზრობას“ „ართვინის“ დღეს ორთა შუა რიცხვით 200-მდის მუდმივი ვაჭარი გამოდი ხსენებულ მოედნებზე, რომელთაგან (ორშაურიან გადასახადით თითოსაგან) შემოვა დღეში 20 მ., წელიწადში-კი 2,000 მ., თუ წელიწადში 100 საბაზრო დღეს ვიანგარიშებთ. წელიწადში რომ ნახევარი 1,000 მ. ვიანგარიშოთ ამ წყაროს შემოსავალი, მაინც დიდ საშუალებას მოგვცემს „ნურიის“ მოედნის მოსაკირწყლავად; მოკირწყვლა დაჯდება დაახლოვებით 2,550 მ. ყოველ წელიწადს 1,000 მ. შემოსავალი საშუალებას მოგვცემს მომავალში კარგად მოვაწყოთ, არამც თუ მარტო „ნურიის“ მოედნის მოკირწყვლის საქმე რიყის ქვით, არამედ ქალაქის სხვა „საბაზრო“ მოედნებისაცაო.

ამ მოხსენებამ ბევრი ლაპარაკი გამოიწვია ხმოსნების მხრივ. ზოგი ამბობდა, რიყის ქვით მოკირწყვლა არ ვარგა, უკეთესი იქნება მოვფინოთ „ასფალტითაო“; ზოგი ამბობდა: „ბეტონითა“ სჯობიანო, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ეს ბაასი გამოწვეული იყო დღევანდელი ქალაქის მდგომარეობის უცოდინარობით, რაც დამტკიცდა იმით, რომ როდესაც ხელახლა გარკვეული იყო გამგეობის წევრის მიერ ის გარემოებანი, რომლის მიხედვითაც იყო წაკითხული ბ-ნ ჟურულის მოხსენება, კრებამ შეიწყნარა უცვლელად მოხსენებაში ნაჩვენები ღონისძიებანი მოედნის მოსაკირწყლავად.

შემდეგ კრებამ განიხილა რამდენიმე საქმე და შეუდგა მომავალი 1904 წლის ქალაქის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის განხილვას. კომისიის თავჯდომარე ხმოსანი ბ-ნი ბარაკოვსკიმ შეუდგა შემოსავლის სხვა-და-სხვა წყაროების შესახებ კომისიის მოხსენების წაკითხვას. როგორც მოასენებიდან სჩანდა, კომისიას მოუწონებია გამგეობის მიერ შედგენილი შემოსავლის აღრიცხვა, რისთვისაც ბ-ნმა ბარაკოვსკიმ სთხოვა კრებას წარმოეთქვა თავისი აზრი. კრებამაც ერთხმად მიიღო კომისიის მოხსენება შემოსავლის შესახებ. ამნაირად მომავალ წელში ქალაქს ექნება შემოსავალი 474,251 მ. 18 კ.

შემდეგ შეუდგნენ მოსალოდნელ ხარჯების განხილვას. გამგეობისაგან ხარჯთაღრიცხვაში ჩართული იყო გამგეობის უნცროს მოხელეთათვის მომატებული ჯამაგირი: გადამწერლებისთვის 30-დან 40 მანეთამდის, 45 მანეთიდან 50-დის, მსახურთათვის 17—20, 25—30-დის. ბ-ნმა ბარაკოვსკიმ თანახმად გამგეობის სურვილისა მომატებული ჯამაგირის შესახებ სთხოვა კრებას თავისი აზრი გამოეთქვა. კრებამ აქაც უცვლელად მიიღო კომისიის მოხსენება.

შემდეგ მოხსენებული იყო კომისიის აზრი ისეთ ხარჯების შესახებ, როგორიც არის ქალაქის პოლიციის შენახვა, ქალაქის ქუჩების შეკეთება, ცეცხლის მქრობელთა გუნდის შენახვა, წყლის საყვანის მოვლა, ბ-ნ ჟურულის თაოსნობით დაარსებულ სანიტარულ ბიუროს შენახვა, საყასბოების გაძღოლა ხარჯი სახალხო განათლებისათვის და სხვ. კრებამ ყველაფერზე თანხმობა გამოუცხადა კომისიას. სახალხო განათლებისთვის ქალაქი დახარჯავს 1904 წელში 43,978 მ. და 32 კ. წრეულ-კი ჰქონდა გადადებული ქალაქს ამ საქმისათვის 46,523 მ.

როგორც ამ ციფრებიდან სჩანს 1904 წელს უფრო ნაკლებს ჰხარჯავს ქალაქი სახალხო განათლებისთვის, ვიდრე წრეულ, მაგრამ ნამდვილად-კი მომავალ წელს გაცილებით მეტი ფული იხარჯება ამ საქმისთვის. ეს იმითი აიხსნება, რომ 1903 წელს ბევრი ფული დაიხარჯა სხვა-და-სხვა სასწავლებლების და მასწავლებლების სადგომების საქირავებლად. ამ წლის მიწურულში-კი ზოგი შენობა გათავდა, ზოგიერთი სასწავლებლები ქალაქის სახლებში მოათავსეს და ამითი შემცირდა ხარჯი, რისთვისაც შედარებით მეტი ფული დაიხარჯება მერმის განსაკუთრებით „სახალხო განათლების საქმეზე“.

განხილული იყო აგრეთვე უნცროს მოხელეთათვის დაჯილდოვების საქმე. კრებამ, თანხმად საფინანსო კომისიის აზრისა, დაადგინა: მიეცეს ყველა უნცროს მოხელეს, ვისაც წელიწადზე მეტი უმსახურია, ერთის თვის ჯამაგირი საშობაოთ ზედ-მეტი.

ბევრი ლაპარაკი გამოიწვია ქალაქის მებაღის, თავ. ლეონიძის თხოვნამ ჯამაგირის მომატების შესახებ. საფინანსო კომისიამ არ შეიწყნარა თავ. ლეონიძის თხოვნა და ბ-ნ ბარაკოვსკის პირით მოახსენა კრებას: „ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ ბ-ნ ლეონიძის თხოვნა, მაგრამ ვერ ვცანით ბ-ნი ლეონიძე ჯამაგირის მომატების ღირსად, იმიტომ რომ ბ-ნ ლეონიძეს აქვს მიღებული დაბალი განათლება, თავის სპეციალურ ცოდნისთვის არ დაუხარჯავს არც იმდენი დრო, არც იმდენი ენერგია, რომ ღირსი იყოს მეტის ჯამაგირისა, მისთვის 100 მან. თვეში—კარგი ჯამაგირია“.

ბ-ნ ლეონიძეს აქვს თვეში 100 მან. და სადგომი, წასვლა-წამოსვლა თავის ხარჯით უნდა იკისროს.

ჩამოსთვალა რა ბ-ნმა ბარაკოვსკიმ ის „მოტივები“, რომლის ძალითაც, მისი აზრით, არ ეკუთვნოდა ბ-ნ ლეონიძეს ჯამაგირის მომატება, ადგა ხმოსანი ბ-ნი ჯაყელი და სთქვა დაახლოვებით შემდეგი: „ყველა მოსამსახურეს უნდა ეძლეოდეს ჯამაგირი იმის მიხედვით, თუ როგორი და რამდენია მისი ნამუშევარი, შესაძლებელია, კაცს უმაღლესი განათლების „დიპლომი“ არ ჰქონდეს, მაგრამ თავის მეცადინეობით იმდენი ცოდნა-მომზადება შეეძინოს, რომ გაცილებით სჯობდეს „დიპლომიანს“. ბ-ნი ლეონიძე ცნობილია, როგორც თავის საქმის მცოდნე და მშრომელი და ნუ თუ იმი-

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

ღ ა ლ ა ტ ი

(შემდეგი *)

VII

ერეკლე.—დათო, გული მიჩქროლავს, თითქო რაღაც უნდა მოჰხდესო.

დათო (უდარდელად).—შენი ხმალი და ჩემი კისერი. რისა გეშინიან, ძმაო, ჩვენ ორივეს ვერ მოგვერევიან.

ერეკლე.—შიშით არ მეშინიან, მაგრამ სხვანაირი სიზმარი ვნახე წუხელ,—ცუდი—ვითომ წმინდა გიორგიმ გული გამიგმირა თავის შუბითა.

დათო (სიტყვას ართმევს).—შენი დარდი აქვს სწორედ წმინდა გიორგის! სახლს შემოუარე გარშემო, სინამ არავინა სჩანს. სიზმრები-კი ბებერ დედაკაცებს უამბე. მე მაგათი ახსნა არ ვიცი. გასწი.

ერეკლე.—მალე მოდი (მიდის იქით, საითაც ანანია წავიდა. დათო მარჯვნივ მიდის, წინ გაიანე შემოეგებება).

VIII

გაიანე (უცბად შეჩერდება და უცქერის დათოს).—შენ ვინა ხარ?

დათო (დარეტიანებული, ხარბად, გაოცებით და გულის-თქმით უყურებს და სდუმს, უსაზღვროდ აღტაცებული).

გაიანე (ძალიან მოეწონება დათო).—მუნჯი ხარ?

დათო.—ოთარ-ბეგის მეომარი ვარ. შენ ვილა ხარ, ქალაო?

გაიანე.—მე იმისი ასული ვარ. რა გქვიან?

დათო.—დათო, შენა?

გაიანე.—გაიანე. (დუმილი. ერთმანეთს უცქერიან). შენ აქ რადა ხარ? მამის მეომარნი გორში არიან.

დათო.—ცხენები მოვიყვანე მამიშენის ბრძანებით ფადიშასათვის.

გაიანე (შეკრთება).—ფადიშასათვის? ვინ არის ფადიშაი?

დათო. არ ვიცი!

გაიანე. არავინ არ იცის. მეფეა?

დათო (შესცქერის).—არ ვიცი.

გაიანე.—არც ის იცი: ირანი სად არის?

დათო.—არა. ვიცი, რომ იქიდან მოვიდნენ სპარსელები, დაიპყრეს ჩვენი ქვეყანა, რომ მამაშენი ემსახურება მეფე სოლეიმანს. ჩვენც ყველანი იმას ვემსახურებით.

გაიანე.—მეფე სოლეიმანიც სპარსია? ირანიდან არის?

დათო. ალბად, იქაური უნდა იყოს. იქა ჰგზავნიან ოქრო-ვერცხლსა, ცხენებსა და ყმაწვილ ქალებს. ჩვენ გვართმევენ და იქა ჰგზავნიან.

გაიანე.—ვინ გვართმევს?

დათო.—მამაშენი.

გაიანე.—ტყუილი... (უცბად შესდგება, რაღაც ბუნდოვანის ფიქრით შეპყრობილი. დათო შესცქერის. დუმილი). შენ სადაური ხარ?

დათო.—ანანურელი.

გაიანე. სად არის ანანური?

დათო.—აი იქით, მთებში.

გაიანე.—მონადირე ხარ?

დათო.—თერთმეტი ვეფხი მომიკლავს.

გაიანე. (მოწიწებით)—ოჰო! მასწავლე, როგორ უნდა იმათი მოკვლა.

დათო.—შენ ყმაწვილი ქალი ხარ. ვეფხს ვერას დააკლებ, ვერ მოჰკლავ.

გაიანე. ძრიელ ღონიერია?

დათო.—ხბოს იტაცებს. ცეცხლივით გაქვს ანთებული თვალები. შენ რომ მიბრძანო, თუნდ ორს ვეფხს შევებმი ერთად. უკანასკნელს წვეთ სისხლს დავღვრი მამი შენის სამსახურში ერთის შენის შემოხედვისათვის.

გაიანე (ნაღვლიანად).—მე მალე წავალ აქედან. მამას მივყევარ დედოფალთან. მერე... (გაჩუმდება).

დათო (გაფითრდება და სული ყელში ეცობა, თითქო იხრჩობა და გული ამოვარდნას უპირობსო). წახვალ?

გაიანე.—ირანს წავალ (ნაღვლიანად). მამას უნდა, რომ ირანის დედოფალი ვიყო. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ნადირობას თავი დავანებო, პირ-ბადე ჩამოვიფარო და ფადიშას ცოლი გავხდე...

დათო (შეჰყვირებს და თავში წაივლებს ხელებს).—შენცა? სხვებთან შენცა? ირანსა? დედოფლად? მერე მამა-შენი? შენი მამა? თვითონ მამა! თავის ნებით! ღმერთო, მაგისთანა დედოფლად მოსისხლე მტრის ქალსაც არ გავიმეტებდი.

გაიანე.—რა სთქვი?

დათო.—გაიანე, გაიანე! იქ მიჰყავთ ქალები მხევლებად და არა დედოფლად. ძალით სტაცებენ დედას ქალს, ქმარს ცოლსა, საცოლოს დანიშნულსა. გატყუებენ, გაიანე! გყიდიან ისე, როგორც გაჰყიდეს საქართველო, როგორც გაჰყიდეს ქრისტე!

გაიანე (შეძრწუნებული).—ვინა, ვინა?

დათო.—პირველმა მამა-შენმა.

გაიანე (შეძრწუნებული, გაფითრებული, გაბრაზებული).—საქართველო! ქრისტე!.. მამა-ჩემმა გაჰყიდა... მამა-ჩემმა?

დათო.—დიაღ, მამა-შენმა. მთელი ქვეყანა მაგას ამბობს. ჰკითხე საბა-ბერსა, ის ყველგან დადის. მამა-შენმა შეაშინა ხალხი სიკვდილით დასჯითა. ერთი სიტყვა ეთქვა ოღონდა და მთლად მის გარშემო შემოვიკრიბებოდით, ციხე-ბურჯივით გავამაგრებდით. ბევრნი ვართ ახალგაზრდები და ღონიერები. ჯერ ყველანი არ მიუყიდნივართ მონებად ირანისათვის, როგორც მამა-შენს უნდა მიგყიდოს შენ, ლამაზო და მშვენიერო! ღვთის ანგელოზო! ჩემო სულის სამოთხე!

გაიანე.—დაიცა! რას ამბობ? მე...მე..

დათო (უფრო და უფრო მეტის ძლიერებით და გულის თქმით).—როგორც ნაპერწკალი აფეთქებს თოფის წამალს, ისე შენ ააფეთქე ჩემი გული. თუ ვზოზინობდი და ვაყოვნებდი, ახლა აღარ დავაყოვნებ. შენ ხარ ყველა, რის დაფარვაცა და ხსნაც მინდოდა გულითა,—სამშობლოცა, ღმერთიცა, თავისუფლებაცა. ვერ შეამაშინებს მთელი ჯარი მამაშენისა და მისის წყეულის მბრძანებელის, საქართველოს მტარვალისა. ხელიდან გამოგგლეჯავ იმ დარაჯებს, რომელიც შენთვის დაუყენებიათ... და თუ წაგიყვანეს, როგორც ვეფხი, ქურდულად, პარვით გამოვყვები შენს ქარავანს.. მეგობრები ბევრი მყავს. წინამძღვარს ეძებენ მხოლოდ. მე გაუხდები წინამძღვარი... აბა, დაიძრას თოვლის პატარა ნაგლეჯი მთის მწვერვალიდგან და გამოექანოს ძირს, ჰნახე, თუ რა საშინელ ზვავად გადიქცევა... სულ მირეგვ-მორეგვავს კლდე-ღრესაც, ხე-ტყესაც, სოფლებსაც. ასე მივრეგვ-მორეგვავთ ყოველსავე შენის თავისუფლებისათვის, ჩემო დილის ცისკარო! (ჰკოცნის. ისმის ხმა მაიკოსი: გაიანე, გაიანე!)

გაიანე (განშორდება). წადი ჩქარა!..

დათო.—ნუ გეშინიან ნურაფრისა! (მირბის. შემოდის და ძლივს ფეხებს მოათრევს დაქანცული მაიკო).

IX.

მაიკო. დახე, სადა ყოფილხარ... ოჰ, გაიანე, სულს ამომართმევ, რა საჭიროა... (მაიკო ძლივს სულს იბრუნებს, ისეა დაღალული, მაგრა დაუჭერს ხელს გაიანეს და დაეცემა, რაკი მეტი სავალობა აღარა აქვს) ერთი საათია დავრბივარ, გიყვირი, დაგეძებ... უჰ, ყოვლად წმინდაო ღვთისმშობელო, ძლივს-ღა ვითქვამ სულს...

გაიანე (ძლივს გონს მოსული, აქეთ-იქით იხედება. თითქო სულ გამოიცვალა, ხელახლად დაიბადა. თითქო უცბად გადაიქცა ჭკვიან, გულ-ჩახვეულ დედაკაცად). მაპატიე, გამდელო!.. ადე, წავიდეთ, საცა გინდა. (ფიქრში წასული). არასოდეს აღარ ვირბენ ამას იქით! მეც დავიღალე..

მაიკო. (აქვს ერთი სულთქმა, უში). ეხლავე, ცოტა ნელა, თორემ ამაზედ მეტი აღარ შემიძლიან. უჰ...

გაიანე. მითხარი (დაფიქრებული გაიცქირება სივრცეში) მამა ჩემი... ქრისტეანია?

მაიკო (გამოშტერდება). ეგ რა შენი საქმეა მერე, შენ შემოგევლე?

გაიანე. (მოუჭერს მაგრა ხელს). მომეცი პასუხი!

მაიკო. (სულ თავ-გზა ებნევა, სხვა, ახალ კილოზედ ლაპარაკი რომ ესმის გაიანესაგან). წინად იყო...

გაიანე. ახლა?

მაიკო. ახლა აღარა.

გაიანე (ჩურჩულით). მართალია... ყოველივე მართალია!.. დედა-ჩემი... მოჰკლეს განა? ვინ მოჰკლა?

მაიკო. ჩუმად, შვილო, ჩუმად, ღვთის გულისათვის..

გაიანე (მრისხანედ). ვინ მოჰკლა?

მაიკო. რა დაგემართა, ჩემო ჩიტო! (გაიანე ანიშნებს სოლეიმანზე ხელის-მოძრაობით: იმანაოდა მაიკო ამბობს პასუხად) ჰო, ჩვენ ყველანი იმისი მონები ვართ!

გაიანე. ჩვენ მონები ვართ და მამა-ჩემი იმას ემსახურება?

მაიკო (ვედრების ხმით, აგანგაშებული). გაჩუმდი, გაჩუმდი, შენ გენაცვალოს შენი გამდელი, შვილო.

გაიანე (უფრო და უფრო მეტის სიმტკიცით). რატომ მამასთან არ ვიყავი სულ და ერთად არა ვცხოვრობდით?

მაიკო. მე არაფერი არ ვიცი, შენ მე დამღუპავ!

გაიანე. რატომ?

მაიკო. ეშინოდა, ჩემს ჰარამხანაში როგორ ვიყოლიოვო.

გაიანე. სადა?

მაიკო. ჰარამხანაში. ბევრი ცოლები ყავს, ქალიშვილები და ვაჟიშვილები... აგრე იციან, აგრეთი სჯულია იმათი სჯული... ზოგი ამბობს, შეიძლება ოთხი ცოლი იყოლიოს კაცმაო, ზოგი-კი ამბობს, თუნდ ასიო! მამაშენს ასი ჰყავს თუ არა, არ ვიცი, და ამბობენ-კია, რომ ხან ბევრი ჰყავს, ხან ცოტაო! ყველა ცოლები ერთად სცხოვრობენ. თუ რომელიმე მოიმწვანილა, სიამოვნო აღარ არის, ეტყვის, თავისუფალი ხარო და გააგდებს. მაგრამ ჩვენი

---

*) იხ. „ივერია“, № 272.

ტომ არ არის ჯამაგირის მომატების ღირსი, რომ დიპლომი არ აქვს? სწორედ უარ-საყოფია ის აზრი, ვითომ „უდიპლომოს" არ შეეძლოს საქმის ცოდნა და წესიერი შრომა".

ბ-ნ ჯაყელის შემდეგ ბ-ნმა ხუდადოვმა (დირექტორი საკომერციო ბანკისა) ილაპარაკა და გაცხარებით მიმართა კრებას: ,,ბ-ნი ლეონიძე როგორი მუშაკიც უნდა იყოს, სულ ერთია, უმაღლესი განათლება არ მიუღია, არა აქვს ,,დიპლომი'', მაშასადამე, არ არის ღირსი ჯამაგირის მომატებისა; უსწავლელი კაცისთვის ძალიან კარგი ჯამაგირია თვეში 100 მან'' ბოლოს კრების თავმჯდომარემ ი. ა. ივანოვმა მოითხოვა, ვისაც სურდა ლეონიძისთვის ჯამაგირის მომატება, ამდგარიყო. ამ სახით ბ-ნ ლეონიძის თხოვნა უარ-ყოფილ იქმნა.

ქალაქს ექნება ხარჯი 1904 წელს 473,298 მან. 18 კ. საზოგადოდ მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა საკმაოდ კარგად არის შედგენილი, თუ მივიღებთ მხედველობაში დღევანდელ ქალაქის ,,ფინანსიურ'' მდგომარეობას, მაგრამ გაცილებით უკეთესი იქნებოდა, მომავალ წელში მოსწრებოდა ბათუმს თეატრის, ან ღამის თავშესაფარის, აშენება, თუ არა საძირკვლის ჩაყრა მაინც...

თეოფილე ბესარიონიძე

ხმა ოცხედან.

II.

თავიდგანვე ჩვენი ცოდვა ედებათ ჩვენს წინაპარ მამა-პაპებს. პირველად, რომ ერთობა არ შეუნახავთ და კერძო მიზეზ-მიზეზობისა გამო დანაწილებულან 3 სამეფოდ და 5 სამთავროდ, ჩასდგომიან ურთიერთ ჯიბრში, ცდილან ერთი მეორის აკლებას, დაქცევას, აოხრებას და კიდევაც აუსრულებიათ აქეთ სამ სხეთოდ გადარჯულებულა, იქით აფხაზეთი და ბოლოს კახეთიცა, რომლის დიდი ნაწილი ხალხისა დღესაც სპარსეთში ჰკვნესის მწარედ! მეორედ, თავიანთ გულუმანკო შორს—უმჭვრეტელობით ყოველ მომმართველ ტომთათვის კარი გაუღიათ, მიუღიათ თავიანთ მფარველობაში სომხები, თათრები, ლეკები, ოსები, ბერძნები, სპარსები და ქურთები თუ თურქმანებ-თარაქამები; მიუციათ თავიანთი კალთა-სავალი მათ ხელში, ისინიც დატრიალებულან შუაში და უნავარდნიათ თავისუფლად საქართველოს საუკეთესო თემში, სამესხეთოში, არა თუ დროებითად უსარგებლნიათ, არამედ მკვიდრი ბინა დაუდვიათ, როგორც სომხებსა, და გადუმისეიათ ჩვენი ადგილობრივი მრავალი საკუთრებანი ძალა-უნებურ, და დღესაც იმ გადაბირების ცდასა და ღონისძიებაში არიან სომხობის თავადაზნაურნი, ჩვენი მეფეების გაბედნიერებულნი, რომელთაც თავიანთ სოფლ-დაბებში თუ შესყიდვით და თუ ჯილდოდ მიღებულ ადგილ-მამულებში მრავალნი ყმა-გლეხნი ქართველები ძალა-უნებურ გაუსომხებიათ, ჩვენი სამღვდელოების უნადვლელობით და დაუდევრობითა!

საოცარი ის არის, რომ თავიანთ სამეფო მიწა-წყალი თავიანთ მშიშარა-მხდალობით ვერ დაუცვიათ, ვერ შეუნახავთ, მიუტოვებიათ მტრისთვის, ხოლო თვითონ აქეთ-იქით თავიანთ მოსაზღვრე ტომების სამფლობელოებში შეხიზნულან, თავი შეუფარებიათ, როგორც კაპადუკიისკენ, სამესხეთოსკენ, სპარსეთისკენ და სირია ასურისტანისკენ. ყველა ასეთი სანაპიროები თავიანთ სომხეთზედ მიუწერიათ, კაპადუკიისა და ჯანეთის მხარეებისთვის უწოდებიათ პირველი, მეორე და მესამე სომხეთი. მეოთხე, სომხეთი სპარსეთისა და საქართველოს მხარეებისთვის დაურქმევიათ. თვით კარი და ყარსის მხარენი და სამესხეთოც თავიანთ გეოგრაფიაში შეუტანიათ! განსვენებულ არხეოლოგ-ისტორიკოსს დიმიტრი ბაქრაძეს დიდათ უკვირდა, რომ ართვინისა და შავშეთ-კლარჯეთის მხარე ადგილებს ითვისებდნენ, რომ არავითარი ისტორიული ნაშთი არ ჰქონიათ არა დროს იქ, სადაც თვითონ დაიარა, და თავის თვალით ნახა. აი რას ამბობს თაოსკარისთვის: „ქართველების ტაო თავის სივრცით ახლა თითქმის მთლად არის არხეოლოგიურად შესწავლილი: ამ შესწავლამ ტაოსამ მოგვცა შეურყეველი ფაქტები, რომელიც გვიმტკიცებს, რომ იქ არსად არ არის არც ერთი საუკუნის კვალი სომხების მფლობელობისათ; (ისტორია საქართველოსი 264 გვერდი). ეს იმისთვის იმგზავრა, რომ მათი ისტორია სჯეროდა თვითონ და სხვების თვალში უნდა გაემართლებინა ჰკაები, მაგრამ არ იქმნა: ნახა, რომ მოტყუვილებული იყო იქამდის იმათგან. ერთიან გაცრუვდა არა თუ მარტო ის მხარე, არამედ სხვა მხარენიცა: მის შემდგომ-კი ეჭვის თვალით უყურებდა მათ ისტორიულ ყოველ ძველს მწერლობასა.

ყარსის სოღანლუღათ წოდებული მთაგრეხილნი, მიმართულნი კაპადუკიამდის არხეოლოგიურ დიდრიან ატლასის ქარტებში ჯერაც იწოდებიან მესხეთის მთებად, ამას თვითონაც სწერენ ვენეტიკელი მხითარისტები თავიანთ არხეოლოგიურ გამოცემაში, მაგრამ რა ჰქნან? სომხების ბაგრატოვნების სამეფო ტახტნი ერთხელვე იქ მოუთავსებიათ გაპორვებით: ერთი ყარსში და მეორე ქ. ანში: უეჭველათ სასომხეთოთ უნდა უწოდონ, მეტი გზა არა აქვთ. ძველს მათ განათლებულ მეისტორიეებთ შეენდობა ასეთი სხვა-და-სხვა წანატაც—წამონატაც მიწა წყლებით რომ უსაზრდოებიათ მაშინდელი თავიანთი გვარ-ტომი, ახლა რომ მათი დიდათ განათლებული მეისტორიენიც ფეხ-და-ფეხ მისდევენ დაყინებით მათ ზღაპრულ მიკერ-მოკერებულს ისტორიასა, ამას რა ვუთხრათ, რა სახელი დავარქვათ? . სიგიჟე გაუტეხლობა. იმიტომ მხიტარისტმან სათარიანმან ასპინძისა და აბასთუმნის სამკურნალო აბანოები, სომხეთის ბუნებით სიმდიდრის ძლიერებას მიაწერა განგებისათ არა უჭკუოთ. თუ ასპინძას დღეს არა, აბასთუმანს მაინც მრავალნი სომხები ცხოვრობენ და ეკლესიაც აქვთ. მათი შეხედულებით, სადაც სომხები სცხოვრობენ, სასომხეთო უნდა ვუწოდოთ, მათ შორის ქ. ტფილისსაც და როსტოვის ნახიჩევანსაც, ყირიმსაც, რა-კი მრავალნი სომხები სცხოვრობენ, ისე, როგორც კილიკიასა, აზრუმსა და მუშშიაცაო. მაშ რა უნდა ჰქმნან? მეტი გზა არა აქვთ, ცაში ხომ ვერ აფრინდებიან!..

სომხები მარტო ასეთ მიეთმოეთობას, წინ და უკან მალაყებზე გადასვლას არ დაჯერებულან და სხვა უფრო დიდი სიბოროტე ჩაუდენიათ. თვითონ რომ დაჰკარგეს თავიანთ უვარგისობით თავიანთი მიწა-წყალი და სამეფო, შურისაგან ვეღარ მოისვენეს, თვალმან არ გაუტანათ, სჯულის გამო ბერძნებსა და ქართველებზედ თავიდგანვე ჩამომტერებულ იყვნენ, რის გამოისობითაც გაუძღვნენ წინ მაჰმადიანებსა ოსმალეთში, თუ სპარსეთში, და სადაც უნდოდათ იქ მიიყვანეს და აახრებინეს ქრისტიანობა ხმალ-ცეცხლითა და ტყვეობით, იქამდის, რომ ჯერ საბერძნეთის საკეისრო დააქციეს, ადებინეს კონსტანტინეპოლი ფათი მაჰმადსა, რომელმაც გაამრავლა სომხები კონსტანტინეპოლში და დაუჯდინა მათ პატრიარხი, ბერძნებისთვის თვალ-ყური ედევნებინათ, ოსმალოების წინააღმდეგათ არ მოქცეულიყვნენ და ისეც ჰქმნეს. დიდხანს ერთგულ-ერთსულნი იყვნენ, ყაყასებათ, გამგებლად და ჯარის-კაცებად სულ სომხები იყვნენ, როგორც ოსმალეთში, ის სპარსეთში, რისთვისაც მრავალ ტომებში განსაკუთრებით სომხები უფრო მიჩნეულნი იყვნენ დ დაცულ-დაფარულნი მრავალი თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული, რაც სხვა ქრისტიანთ ნაკლებად ჰქონდათ მიცემული. მერმე მოგვიბრუნდნენ ჩვენ და, რაც საბერძნეთს დააკლეს, ის ჩვენს სამესხეთოს და სამეფოს შეუსრულეს. ყოველ შემთხვევაში წინ უძღოდნენ ჩვენ დაუძინებელ მტრებს ოსმალოებს თუ სპარსებს. ყოველს შემთხვევაში ჩვენ ვიყლიტებოდით, ოხრდებოდა ჩვენი ქვეყანა და სომხობა-კი სანატრელ თავისუფლებას იშენებდა ყოველგან მშვიდობიანობით. ამით აიხსნება, რომ მთელი სამესხეთო, მთელი საქართველოს სანაპირონი: კახეთი, აფხაზეთი გაამაჰმადიანეს ძალის-ძალათ და სომხობას-კი არა ევნო-რა, ჭირიც-კი არ შეეშალა არსად!..

მესამე შეცდომილება მათი იყო, რომ წმ. მამა გიორგი მთაწმიდელის დაჭერილს ქრისტიანობის მტკიცე გზა-კვალს ასცდა ჩვენი სამღვდელოება თამარის დროს. ანტონ კლდელის თავის ძის მოცდუნებითა მიემხრნენ ბერძნებს და დაუდევრობით ისეთს ღრმა უმეცრებაში ჩაცვივდნენ, რომ მრავალგან მთიულეთში და საქართველოს სანაპიროებში მღვდლებმან ემაწვილების წესიერი ნათლისღება-კი აღარ იცოდნენ, თუმც რუსუდანის დროსვე თბილ გვალზედ მოუსწრეს რომითგან მისიონერებმან, დიდად გაისარჯნენ, ეცადნენ, ისევ დაეყენებინათ იგინი გიორგი მთაწმიდელის გაკვეთილს სწორე გზაზედ, არა მარტო ისინი, არამედ სხვა მრავალიცა, რაიცა გაგრძელდა ორას-სამასი წლამდის. მაგრამ ვერას ღონისძიებით ვერ შეიძლეს ერთიან მოქცევა მათი, დაუცხრომელი ომებისა და არეულობის გამო ჩვენის ქვეყნისა. თუმც ბოლო დროს ჩააგონეს თითო ოროლა სწავლულთ სასულიერო პირთა, როგორც საბა ორბელიანს, ანტონ კათალიკოსს და სხვათა, მაგრამ ჩვენი ცოდვების სიბოროტემ ყოველი ცდა, ღონისძიება გააუქმა, ვეღარა ვისარგებლეთ-რა.

(შემდეგი იქნება).

ვინმე მესხი.

შრომა, სიკვდილი და ავადმყოფობა.

გამოჩენილმა და სახელოვანმა რუსთა მწერალმა გრაფმა ლ. ნ. ტოლსტოიმ ამ წლის აგვისტოს ფრანგულ გაზეთს „Temps"-ში დაბეჭდა ზემო მოყვანილ სათაურით ღრმა, ფილოსოფიურ აზრით სავსე მოთხრობა. შინაარსი ამ მოთხრობისა რუსულად დაბეჭდილია გაზეთ "ნოვოე ვრემია"-ში.

სამხრეთ-ამერიკის ინდოელთა შორის შემდეგი ლეგენდა არსებობს:

ღმერთმა, ამბობენ ისინი, გააჩინა ხალხი იმ სახით, რომ მათთვის შრომა საჭირო არა ყოფილიყო. არ ეჭირებოდათ არც ტანთსაცმელი, არც სახლ-კარი, არც ჭამა-სმა, ყველანი ას წლამდის სცოცხლობდნენ სრულებით აშორებული ავადმყოფობას.

გავიდა რამოდენიმე ხანი, და როდესაც ღმერთმა გადმოხედა ქვეყანას, უნდოდა შეეტყო, როგორა სცხოვრობდა ადამიანი, დაინახა, რომ სიამოვნების ნაცვლად თითოეული მარტო თავის თავისათვის ზრუნავდა; ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, და ისეთს ყოფა-ცხოვრებას მისდევდნენ, რომ არა თუ კმაყოფილნი იყვნენ სიცოცხლისა, არამედ სწყევლიდნენ.

მაშინ ღმერთმა სთქვა: „ეს იმიტომ მოხდა, რომ ყოველი კაცი თავისთვისა სცხოვრობს". ამის მოსასპობად ღმერთმა დააწესა, ადამიანს უშრომლად სიცოცხლე არ შესძლებოდა, სიცივესა და შიმშილს ასცდენოდა აუცილებლად საჭირო ყოფილიყო ტანთსაცმელი ჩაეცვათ, ხვნა-თესვა დაეწყოთ, ხილის და ხორბლეულის მოყვანას შესდგომოდნენ.

„შრომა გააერთიანებს ხალხს",—ფიქრობდა ღმერთი, არ შეიძლება ერთმა და იმავე კაცმა ხერხოს კიდეცა და აქეთ-იქითაც გადაიტანოს ხეები, აშენოს სახლები; შეუძლებელია მარტოდ-მარტომ ამზადოს სამუშავო იარაღი, სთესოს, მოიმკოს, ქსოვოს და იკეროს ტანისამოსი. ადვილად მიხვდებიან, რომ რაც უფრო მეტი ხალხი შეიყრება ერთად სამუშავოდ, მით უფრო გაუადვილდებათ ცხოვრება და მით უფრო ადვილად გაერთიანდებიან".

გავიდა კიდევ რამოდენიმე ხანი. ღმერთმა ხელახლად გადმოხედა ადამიანს.

მაგრამ ხალხი წინანდელზე უფრო უარესად სცხოვრობდა. თუმცა ერთს ადგილას მუშაობდნენ (უამისობა არ იქნებოდა), მაგრამ ყველანი ერთად-კი არა; დაყოფილიყვნენ პატარ-პატარა ჯგუფებად; ყოველი ჯგუფი სცდილობდა მეორესთვის საქმე წაერთმია, უშლიდნენ ერთმანეთს სრული თავისი დრო და ძალა სავსებით მოეხმარებინა არჩეულ საქმეს, და ეს ყველას დიდს ზარალს აძლევდა. დაინახა ღმერთმა, რომ ეს ასე არ ივარგებდა და გადასწყვიტა, ისე მოეგვარებინა საქმე, რომ ადამიანს არა სცოდნოდა, როდის ეწვეოდა სიკვდილი, ისე მოეგვარებინა, რომ ყოველ ჟამს შესაძლო ყოფილიყო მისთვის სიკვდილი. გადასწყვიტა და გამოუცხადა კიდეც ყველას.

„რაკი ეცოდინებათ, რომ ყოველ წამს შესაძლოა მათთვის სიკვდილი,—ჰფიქრობდა ღმერთი,—აღარ წაეჩხუბებიან ერთმანეთს სიცოცხლის ზრუნვისათვის, რომელიც შესაძლოა ყოველ წუთს შესწყდეს, აღარ მოუწამლავენ ერთმანეთს სიცოცხლის იმ წუთებს, რომელიც ყველას წინდაწინვე განსაზღვრულის რაოდენობისა აქვს მინიჭებული".

მაგრამ სულ სხვანაირად დატრიალდა საქმე. როდესაც ღმერთმა ხელახლად გადმოჰხედა ადამიანთა ცხოვრებას, დაინახა, რომ მათი ცხოვრება წინანდელზე უკე-

---

ბატონი კეთილია, თავის დღეში ისე არ გააგდებს. თუ თვითონ მობეზრდება, ცოლად აძლევს ამა თუ იმ თავის მეომარს, ან მეგობარს გაუგზავნის ვისმე საჩუქრად. ისე-კი არას დროს არ დასტოვებს უპატრონოდ.

გაიანე. მაშ, სხვა შვილებიცა ჰყავს ჩემ გარდაი?

მაიკო.—ჰყავს. მაგრამ შენ უყვარხარ. ისინი-კი იმდენი არიან, რომ იმათი სიყვარული არ შეიძლება.

გაიანე.—სად არის ირანი?

მაიკო. შორს არის.

გაიანე. ვინ არის იქ მეფე?

მაიკო. ფადიშაი. მეფეთა მეფე, ჩვენის მეფის მეფე.

გაიანე. იმასაც იმდენი ცოლი ჰყავს, რამდენიც მამა-ჩემსა?

მაიკო. იი, ქა, შენ გაიხარე! ბევრად მეტი! საცა-კი დუნიაზე ლამაზი ქალწულია, იმას უგზავნიან ცოლად.

გაიანე (ხელებს იტაცებს თავში, დიდხანს სდუმს, ღრმად ფიქრობს, სახეზე აუწერელი ტანჯვა ეტყობა). წავიდეთ! (მაიკო და გაიანე მიდიან, მაიკო ჩურჩულით ეუბნევა: «ნურა გრჯის რა, მხოლოდ, შვილო, ჩემგან ნუ რა გრჯის-რა ნუ იტყვი, რომ მ...» (შემოდის ოთარ-ბეგი, მერე გლახა მარცხენა მხრივ).

X

ოთარ-ბეგი (ეტყობა კმაყოფილია).—მშვენიერი ცხენებია, მშვენიერი. გამოუცხადე შენ სამამასახლისოს ხალხს, რომ აღარ ვამუშავებ ანანურის ციხის აშენებაზედ. სულ გამითავისუფლებია.

ანანია. შენი წყალობა ნუ მოგვაკლოს ღმერთმა, ბატონო. ამ ხანად-კი ეგ წყალობა მეტია. ჩვენები ხალისიანად მუშაობენ. ციხეებს ხომ თან ვერ წაიღებენ სპარსელებიო, ისევ ჩვენ დაგვრჩებაო.

ოთარ-ბეგი (უცებ მოტრიალდება მოულოდნელობის გამო და უცქერის გლახას დაშტერებით). —ერთი მითხარ, გლახა, საიდან შემოგიკრებია ეგ გაბედულობა? შენა გგონია, ვერ მივხვდი, რომ პირში დამცინოდი, როცა მამაჩემს იგონებდი? (სახე უჭარხლდება შეკავებულის გაბრაზებით). მე მიყვარს ხუმრობა ჩემის ხუმარა ბესოსი, სხვა მასხარანი-კი ჰლიჯენ ჩემთან პირისახეს, ხოლო არა სიცილისაგან, არამედ ცეცხლისა და მათრახებისაგან. გაბედულობა მაშინ მიყვარს, როცა ჩემს მტრებს ზურგზე პოლს ადენენ მამაცურად. ჩემთან-კი გაბედულობა არავის გამოადგება, სიკვდილზედ მეტად გაგაფითრებ მათს სახეს!

ანანია (არხეინად, ვითომც აქ არაფერიაო და მკვახედ).—რაღას აყოვნებ, დიდო ბატონო? სიკვდილი შენ ხელთ არის, მაგრამ ისიც-კი უნდა მოგახსენო, მე და სიკვდილი დიდის ხნის მეგობრები ვართ და ბევრჯერ მივსალმებივართ ერთმანეთს, თვალებში გვიცქერნია ერთმანეთისათვის. თუმცა არც ისა წითლდებოდა, მაგრამ არც-კი მე ვფითრდებოდი. იმას თავისი ფერი რჩებოდა და მე ჩემი.

ოთარ-ბეგი (სწვდება მხრებში). ბებერო ქოფაკო, მე მესმის შენის გულის პასუხი: იმიტომ მთხოვე მივიღო სამსახურში შენი ორი შვილი, რომ ღალატით მომკლან, მოპარვით ჩამცენ ზურგში ხანჯალი განა?

ანანია. არა, ბატონო, აგერია ანგარიში. სპარსელებმა იციან ზურგში ხანჯლის ჩაკვრა, ჩვენ გულში ვიცით. (ოთარ-ბეგი გაუშვებს ხელს). ღმერთმა, წინანდელმაცა და ახლანდელმაც, ბევრი მოგცეს იმისთანა მცველნი, წინამძღვარო და ძეო წინამძღვარისაო. და როცა სპარსელებმა მოინდომონ თავიანთ ჩვეულებისამებრ შენი თავიდან მოშორება, მოუწოდე ერეკლესა და დათოს. იაფად არ მიჰყიდიან ისინი სპარსელებს თავიანთ სისხლისა და ხორცის თავადიშვილს.

ოთარ-ბეგი. გამიგონე, მოხუცო, წადი თავ-მთელი, არას გერჩი, მაგრამ მაგნაირ ლაპარაკს-კი თავი დაანებე (დაუდაბლებს ხმას). ახლა მაგნაირის ლაპარაკის დრო არ არის. ჩვენი ძალა გაქელილია და დათრგუნვილი. რა ჩვენი საქმეა და ან სად შეგვიძლიან ჩვენ, ლოთებს, ღრიალისა, სიცილ-ხარხარისა და ცეკვა-თამაშის მოყვარულებს ვებრძოლოთ იმისთანა რკინის კაცს, როგორიც სოლეიმანია? არასოდეს ღიმილს არ შეუთამაშნია მის ტუჩებზედ. იმისი შესახედაობა ისევე მკვეთრია და ცივი, როგორც მისი სული. არასოდეს ცვარი ღვინო არ მიჰკარებია მის პირს. იმან დაუმორჩილა ფადიშას სინდეთი და ჯიბალი, იმან გაიარა დიდის უდაბნოს მლაშე ადგილები და სვა წყალი ინდისა. მხოლოდ ცაში იყურება, თითქო იქა ჰხედავს წინასწარმეტყველს მაჰმადსა, რომელიც უჩვენებს გზას, ასე წადი, ასე იარეო. გაანებე თავი, მოხუცო, სისულელეს და მშვიდობით დალიე შენი დღენი.

ანანია. მადლობა უფალსა, რომ ჯერ კიდევ გეცოდება ქრისტიანე კაცის სული! კიდეც იმიტომ არ სჯერა ხალხს შენი ბოროტ-მოქმედება, შენი სიავე. ხალხმა იცის, რომ, რასაც აშავებ, გულით არ აშავებ. და მორჩილებით იხრის ქედს შენის სახელის წინაშე. დიდო ბატონო! ნება მიბოძე გითხრა ყოველივე შენის ქვეყნისა, გითხრა, რას ითმენს, რანაირ იტანჯება! ნება მიბოძე გავაღვივო ცეცხლი შენის შებრალებისა, ვიდრე ჯერ კიდევ სულ არ ჩაფერფლილა და არ წაჰყრია ნაცარი...

ოთარ-ბეგი. შებრალებისას ნურას მეტყვი, მაგ შებრალებას უკანასკნელი შენა ჰხედავ! (განრისხებით) გასწი, გამეცალე, ვიდრე შებრალების მაგიერ ჩემი რისხვა არ გაგიღვივებია. ეს არის ეხლა, შენ წინად, შემომცქეროდა, და მევედრებოდა შებრალებას, შენის მიმქრალის თვალების მაგიერ, ისეთი თვალები... გასწი, გამეცალე, ახლავე... (შემორბის ბესო და სულ კანკალებს შიშით).

XI

ბესო.—დიდო ბატონო! დედოფალი მობრძანდება ამალით, აგერ ახლავე!

ოთარ-ბეგი..—გაგიჟდი, თუ რა ამბავია?! (სცენის სიღრმეში გამოჩნდებიან დათო და ერეკლე).

ბესო.—რას ბრძანებ, ბატონო! აგერ გიახლება (დაეცემა მუხლის თავებზედ, შემოდის ზეინაბი, რუქაია, მათ მოსდევს ალ-რაზაკი, რამდენიმე მხევალი და მხედარი ჯავშნითა და ჩაფხუტებით. რომლებსაც დოლბანდი ახვევია გარშემო, ხმალ-ამოღებულები; დედაკაცთ სახე პირბადითა აქვთ ჩამოფარებული თვალებამდე. ოთარ-ბეგი დაეცემა მუხლის თავებზედ, აგრეთვე ანანიაც).

ზეინაბი (არ იხდის ჩადრსა და პირ-ბადეს). —კარგი დარაჯნი გყოლია, ოთარ-ბეგ! დროზე ვერც-კი შეგატყობინეს, რომ მე მოვდივარ. მაგრამ როცა მოლაღატესთან მიდიხარ, უნდა უცბად წაადგე თავზედ. მე ვუბრძანე, რომ შეეპყრათ ყველა შენი მხედარი, რომელიც-კი გზაში შემოგვხვდებოდა. რატომ შენც იქ არა ხარ, საცა შენი მხედრობაა? რას აკეთებ აქ, შენს სახლში, ქალაქ გარედ? როგორ დასთმე შენი ჰარამხანა?

ოთარ-ბეგი.—დიდო დედოფალო, აქ ვაგროვებ, შენის ბრძანებისამებრ, საჩუქარს მეფეთ მეფისათვის. ხვალ უთენია ვაპირებდი შენს მაღალ კარ-წინ ჩამომეყვანა ჩემი ასული და მომერთმია ოქრო-ვერცხლი და ცხენები. ბრძანება უკვე გავეცი—ჰკითხეთ ჩემ მსახურთ.

ზეინაბი.—დაღალული ვარ და ამ ღამეს შენს სახლში გავათევ.

ოთარ-ბეგი —ჩემის სახლის კედლები განზე გაიწევს, ჰერი მაღლა ავა ღრუბლებამდე, დიდო მბრძანებელო. ეი, მსახურნო! დაამზადეთ სანადიმოდ ყოველივე, მოუწოდეთ მხევლებს! საქართველოს მთვარეს ჰსურს მოისვენოს თავის მონის სახლში... (უნდა წავიდეს).

ზეინაბი. შესდეგ! ნადიმი ჩემთვის საჭირო არ არის! მხევლნი მე თანა მყვანან. ალ-რაზაკ, მცველნი დააყენე სახლის ყველა კარებთან (ანიშნებს სახლის იმ მხარეს, რომელიც წინ არის გამოწეული). მე აქ დავიდებ ბინას! (ალ-რაზაკი დაბლა თავს დაუკრავს და მიდის). დედოფალი შეასწრობს თვალს ანანიას, იცნობს და გულზედ იტაცებს ხელს და თან თავშეკავებით შეჰკივლებს.

რუქაია. რა დაგემართა, ქალბატონო!

ზეინაბი. არაფერია, შვილო! გზამ დამღალა. გულზედ ქვალი დამადგა თითქო. (ოთარ-ბეგს). ვინ არის ეს კაცი?

ოთარ-ბეგი. მამასახლისი გახლავს, ანანუელი, ხელმწიფეო. სამი ცხენი მოიყვანა თქვენ საჩუქრად, დედოფალო.

ანანია. ცხენები კარგები გახლავან, დიდებულო ბატონო, მაგრამ ერთი ისეთია, რომ ფასი არ დაედება.

ზეინაბი (შეუთრთოლდება ხმა). ძლიერი, საომარი ცხენია?

ანანია. მის ძარღვებში სჩქეფს მეფური სისხლი ჩვიდმეტის თაობისა.

ზეინაბი. კარგადა გყავს ნაცადი?

ანანია. ისე უვლიდი და მიყვარდა, რომ საკუთარ შვილზედ კიდევ უფრო მეტად.

ოთარ-ბეგი. მე ვგონებ, დედოფალო, რომ წმინდა არაბულის ჯიშისაა. ფადიშას სასიამოვნოდ დარჩება.

ზეინაბი. ფადიშას სასიამოვნოდ დარჩება.

ანანია. ეგ-კი არ ვიცი, მოეწონება თუ არა ფადიშასა, მაგრამ იმის სისხლში წვეთიც არ ურევია არც არაბულისა და არც სპარსულის სისხლისა. ნამდვილი ჩვენი სისხლი უდგია (მობრუნდება და ანიშნებს შვილებს, რომ ახლო მოვიდნენ. რუქაია მოჰკრავს თუ არა თვალს ერეკლეს, უცბად, ვითომ უსაბედად, ძირს დააგდებს პირ-ბადეს. ერეკლე აღელდება და დნება აღტაცებით.)

ზეინაბი (გაფითრებულია, აღელვებისაგან აღარ იცის, რა ჰქნას და თვალს არ აშორებს ერეკლეს).

ანანია. ერთ-ერთი ჰხედნის ამათ შორის ცხენს.

ზეინაბი (მიმტკნარებულის ხმით)—რომელი?

ანანია. რომელსაც შენ უყურებ!

ფარდა.

გრ. ყიფშიძე.

თესი არ იყო. ძლიერთ ისარგებლეს მით, რომ ადამიანს ყოველ წამს სიკვდილი მოელისო, დაიმონეს უძლურნი, ზოგსა ჰხოცავდნენ, ზოგს-კი სიკვდილს უქადიდნენ და მოხდა ისე, რომ ძლიერნი და მათნი მემკვიდრენი სრულებით არა მუშაობდნენ. და მოწყენილნი იყვნენ ცუდაობით, უძლურნი-კი შრომობდნენ იმაზედ მეტს, რის ძალ-ღონე შესწევდათ და გაბოროტებულნი იყვნენ, რადგანაც მოსვენება არა ჰქონდათ, და აღივსნენ ერთმანეთის შიშით და მძულვარებით. და მათი სიცოცხლე უფრო უბედური შეიქმნა, ვიდრე წინად იყო.

ეს რომ დაინახა ღმერთმა, საქმის გასასწორებლად, ყოველგვარი ავადმყოფობა გაუჩინა ადამიანს.

ღმერთს ეგონა, რომ თუ ადამიანთათვის ავად გახდომა შესაძლებელი იქმნება, შეიგნებენ, რომ ძლიერთ შებრალება უნდა იქონიონ ავადმყოფებისა, შეელოდნენ, ეხმარებოდნენ მათ, რომ თითონაც, როდესაც ავად გახდებიან, მოელოდნენ შემწეობას ქონებით ხელ-მოკლეთაგან.

და ღმერთმა კვლავ მიანება ადამიანნი თავიანთ თავს. მაგრამ როდესაც შემდეგ ხელ-ახლად გადმოხედა, რომ გაეგო, როგორა სცხოვრობს ახლა ადამიანიო, როდესაც ავადმყოფობა შესაძლო შეიქნა მათთვის, დაინახა, რომ მათი ცხოვრება უფრო უარესია. სწორედ ამ ავადმყოფობამ, გაერთიანების მაგივრად, უფრო დააშორა ერთმანეთს ხალხი. ისინი, ვინც წინად სხვას ძალად ამუშავებდნენ, გარდა ამისა ძალადვე აკისრებინეს უძლურებს ძლიერების მოვლა, როდესაც ავად-გახდებოდნენ. თითონ-კი ავადმყოფებს არ უვლიდნენ და ისინი, რომელთაც ძალად ამუშავებდნენ ბატონისათვის და ძალად ავლევინებდნენ სხვის ავადმყოფებს, იმოდენად იყვნენ დაჩაგრულნი მუშაობით, რომ დრო აღარ ჰქონდათ ეზრუნათ თავიანთ ავადმყოფებისათვის და უნუგეშოთ უნდა დაეტოვებინათ.

რომ არ მოჰკლებოდათ მხიარული ცხოვრება, ავადმყოფებს ცალკე სახლში აწვენდნენ, სადაც ისინი იტანჯებოდნენ და იხოცებოდნენ ნათესავთ მოშორებულნი და მათგან დაუტირებელნი უცხო დაქირავებულთ ანაბარაზე, იმ დაქირავებულთა ხალხით, რომელნიც უვლიან ავადმყოფს არა თანაგრძნობით, არამედ ზიზღით.

გარდა ამისა, რადგანაც ბევრი ავადმყოფობა გადამდებ ავადმყოფობად იყო ცნობილი, ხალხი, სენის გადადების შიშით, არამც თუ არ ეკარებოდა ავადმყოფებს, იმათაც-კი ერიდებოდა, ვინც ავადმყოფებს უვლიდნენ.

მაშინ ღმერთმა სთქვა: „თუ ამითაც შესაძლო არ არის შეიგნოს ხალხმა, რაშია მისი ბედნიერება, მაშ თითონვე გაუძლოს თავის ტანჯვას". და დაანება ხალხს თავი ღმერთმა

მარტოდ დარჩენილი ხალხი დიდხანს სცხოვრობდა ისე, რომ არ ესმოდა, რა იყო საჭირო საკუთარ ბედნიერებისათვის. და მხოლოდ სულ უკანასკნელს დროს მიხვდა ზოგიერთი, რომ შრომა არ უნდა იყოს შიშის ზარის დამცემი ერთისთვის და ძალ-დატანებული მეორესათვის, არამედ უნდა იყოს საერთო და სასიამოვნო გამაერთიანებელი ყველა ადამიანისა. შეიგნეს, რომ სიკვდილის მოლოდინში, რომელიც ყოველ წამს ემუქრება ყველას, ერთად-ერთი გონივრული მოქმედება ყოველი კაცისათვის ის არის, რომ თანხმობით და სიყვარულით გაატაროს ის წელიწადნი, თვენი, საათნი და წამნი, რომელიც ადრევე მიზომილი აქვს ყოველ კაცს, შეიგნეს, რომ ავადმყოფობა არამც თუ არ უნდა იყოს ხალხის გაცალკევების მიზეზი, პირ-იქით უნდა იყოს მათთვის ერთობის და სიყვარულის საბუთი და საფუძველი.

რუსეთი

ამ შემოდგომას რუსეთის შიდა გუბერნიებს, სადაც-კი საერობო თვითმართველობა არსებობს, არა ჩვეულებრივი სიცოცხლე დაეტყო. გუბერნიების საერობო კრებაზედ ხმოსნებმა ისეთს საგნებზედ აძრეს მსჯელობა, რომელთა რიგიანად გადაწყვეტამ შემდეგში მაინც უნდა ფეხზე დააყენოს სოფლის ხალხის მდგომარეობა.

თანხმად შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადებისა, ერობის სამმართველოებს უნდა წარმოეთქვათ თავისი აზრი ამომრჩეველთა ცენზის შესახებ. ამ საკითხმა ბევრი სხვაც გამოიწვია და სოფლელთა მდგომარეობის გამოკვლევას მოჰყვა. ესეთი სადი მსჯელობა და თამამი, წრფელი გამათობა ჯერ რუსეთის საერობო კრებაზედ თითქმის არ გაგონილა. თუმცა ზოგ საერობო კრებაზედ თითო-ოროლა ხმოსანი წინადაც აღამაღლებდა ხოლმე ხმას საერთო საჭიროების შესახებ, მაგრამ ან ამხანაგები არ აძლევდნენ ხმას ან არა და კრება ძალაუნებურად სდუმდა, თუმცა თანაუგრძნობდა გამბედავ ორატორს. წელს-კი უმრავლესობა იმ აზრს დასდგომია, რომ წინანდელის წესით საქმის წარმოება შეუძლებელია. თითქმის საერთოდ ის აზრი გამოთქვა, რომ ამომრჩევლების ცენზი უნდა შემცირდეს, გლეხ-კაცებს მეტი წარმომადგენელი ჰყავდეს საერობო სამმართველოში, ქალებსაც არჩევნებზე მონაწილეობის უფლება მიეცეთ და სხვ. მეტადრე დიდი ყურადღება მიაქციეს კრებებმა სახალხო განათლების საქმეს და ამ შემთხვევაში დიდი სიუხვე გამოიჩინეს. თუმცა ჯერ შეუძლებლად მიაჩნიათ, მაგრამ ერობამ თანდათან ისე მოაწყოს საქმე, რომ პირველ დაწყებითი სწავლა ყველა ბავშვისათვის სავალდებულო იყოს, რადგან ხალხის კეთილდღეობა დამყარებული არის მის სწავლა-განათლებაზედ.

ყაზანის გუბერნიამ 1905 წლიდგან სასკოლო ფონდი დააარსა და ეხლა შუამდგომლობს, თანახმად კოსტრომის ერობის დადგენილებისაც, რომ სამინისტრომაც დააარსოს საერთო ფონდი სწავლა-განათლების საქმისათვის ღარიბ გუბერნიებში.

კურსკის გუბერნიის საერობო კრება დაეთანხმა ხმოსნის რუტკაენის აზრს და დაადგინა, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ყოველი კანონ-პროექტი ადგილობრივის საჭიროების შესახებ წინად ერობას გადაეცეს განსახილველად და იმ შემთხვევაში, როდესაც ერობის წარმომადგენლებს იწვევენ პეტერბურგში, თავმჯდომარეები-კი არ დაიბარონ, არამედ კრებას ნება ჰქონდეს თვით აირჩიოს წარმომადგენელი.

ჩერნიგოვის საერობო კრებამ საჭიროდ დაინახა აგრეთვე ყოველი კანონ-პროექტი საგუბერნიო კრებას გარდაეცემოდეს განსახილველად. კამათობის დროს კრების თავმჯდომარემ წარმოსთქვა: მე ვიცი რამდენიმე შემთხვევა, როდესაც გულ-ახდილ ლაპარაკს კომისიებში კერძო მოკამათეთათვის სამწუხარო შედეგი ჰქონია, ამისათვის თავდებობას ვერავინ იკისრებს, რომ ამ კრებასაც იგივე არ მოჰყვებათ. ამასთანავე შუამდგომლობით ჩვენ საერობო დებულების წრეს გადავდივართო. ერობის უფროსმა სთქვა, მოუხერხებელია და კადნიერებაა კარები დავურაკუნოთ მასპინძელს, რომელიც არ გვეპატიჟებათ. ხმოსანმა (ტაინი სოვეტნიკი) კრასოვსკიმ წარმოსთქვა: მე თავისუფალ სიტყვის მომხრე ვარ, ხოლო, თუ ადგილობრივის საჭიროებათა შესახებ შუამდგომლობას საერთო რამე დავუმატეთ, მაშინ, შესაძლოა, „ჩვენმა შუამდგომლობამ მხოლოდ კეთილ-სურვილთა არხივი შეავსოს, რომელზედაც ოდესმე შვენიერი ხე გაიზდებაო. თუ მაინც-და-მაინც გინდათ პირველ შუამდგომლობას დაუმატოთ რამე, სჯობს იშუამდგომლოთ, რომ ბაზარი დაარსდეს არ არსებულ სოფელშიო. შუამდგომლობის მომხრენი ცხარედ ამტკიცებდნენ, რომ ერობამ თავისი საჭიროება უმაღლეს მთავრობას უნდა მოახსენოს და არა კერძოდ მინისტრებს, რომელთაგან ყველას თავისი საკუთარი აზრი და შეხედულება აქვს იმის შესახებ, რაზედ შეიძლება ლაპარაკი და რაზედ არა.

ტამბოვის გუბერნიის საერობო კრების ამბავი მკითხველებს უკვე მოეხსენებათ ამას წინად მოსულ დეპეშიდგან. კრებამ არ დაასრულა დანიშნულ საგნების განხილვა და სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებაც კი ვერ მოასწრო. ხმოსნები წავიდ-წამოვიდნენ—და კრება უდროოდ დაიშალა.

უცხოეთი

საფრანგეთი. თუმც რუსეთსა და საფრანგეთს შორის მტკიცე მეგობრობა და კავშირი არსებობს, მაგრამ აღებ-მიცემობის მხრივ ფრანცუზები კმაყოფილნი არ არიან. რუსეთს ბევრად მეტი სარგებლობა ჰქონია თავის მეგობრისაგან, ასე რომ თანასწორობაზედ ლაპარაკიც არ შეიძლება. საფრანგეთს შეაქვს რუსეთში თავისი ნაწარმოები 40 მილიონისა და გააქვს 210 მილიონისა, ე. ი. ბევრით მეტს ჰყიდულობს და მეტს საქონელს უსაღებს, ვიდრე თვით ჰყიდის. წელს ათის თვის განმავლობაში საფრანგეთს უყიდნია რუსეთისაგან $221^1/_2$ მილიონ მანეთის საქონელი და მიუყიდნია 35 მილიონისა. ამ გარემოებამ დააფიქრა საფრანგეთის ვაჭრები, გამოკვლევას შეუდგნენ და საოცარი ამბავი შეიტყვეს. თუმცა რუსეთი და საფრანგეთი მეგობრები არიან, მაგრამ გერმანია უფრო აძლიერებს თავის ვაჭრობას რუსეთში, ვიდრე საფრანგეთი. გაზეთი Annales-ი ვრცელს წერილში რჩევას აძლევს საფრანგეთის ვაჭრებს, როგორ შეუძლიანთ შესაფერი ადგილი დაიჭირონ რუსეთის ვაჭრობაში. მომეტებული ნაწილი პეტერბურგისა და რუსეთის და სხვა ქალაქების ვაჭრებისა გერმანელნი არიან და კომერციული აგენტები არა იციანო. მათთან რომ საქმის დაჭერა გინდოდეს, უნდა იმათ ჭკუა-გონება, მოთხოვნილება და გემოვნება ასწონ-დასწონო, ჩააგონო, ჩაჩიჩინო და ის მააწოდო, რაც მათ განვითარებას შეესაბამება. ასე გასინჯეთ, ფულისა თუ ფასიან ქაღალდების კურსის განსხვავებაც-კი არ გაეგებათ. უნდა უანგარიშო მანეთობით, რა დაუჯდება ესა თუ ის საქონელი რომ ადგილობრივ ჩააბარო. გერმანელებს კარგა შეგნებული აქვთ ეს თვისება რუსეთის ვაჭრებისა და იმიტომ უფრო სარგებლობენო. გერმანელების ნოქრები მოივლიან ყველა მაღაზიას, დიდსა თუ პატარას, და ფეხს არ გასდგამენ, არამცთუ ქალაქიდგან, არამედ სოფლიდგანაც, თუ არ წამოიღეს რის წამოღებაცკი შესაძლოა. იმათ იციან გემოვნება, ხასიათი და შეძლება ვაჭრისა, იციან, ვისთან როგორ იმოქმედონ. საჭიროა ნისიადაც ეძლიოს საქონელი. ნამდვილი რუსი-ვაჭარი თავის პირობაზე მტკიცეა, სიტყვით იყოს თუ ხელ-წერილობით. სულ სხვას წარმოადგენს მეორე ჯურის ვაჭარი, სომეხი და აღმოსავლეთის კაცი, რომელთა რიცხვი დიდძალია, და რომელნიც კომერციული მტაცებელნი არიან. ისინი ინისიავებენ და, ვიდრე ვალის გარდახდის ვადა მოვიდოდეს, თავის სავაჭრო საწყობებს სხვის სახელზედ გადასცემენო.

ჩვენ ეხლა კარგი დრო გვაქვსო, ამბობენ ფრანგული გაზეთები, რადგან რუსეთსა და გერმანიას შორის სავაჭრო ხელ-შეკრულობის მოლაპარაკება არ გათავებულა და არც მოსალოდნელია, რომ ორთავე მხარესათვის სასურველად გათავდეს; უნდა ვეცადნეთ ამ გარემოებით ვისარგებლოთო.

თეატრი და ხელოვნება

ქ. პეტროვსკი. ნეტავ იქნება სადმე ისე მიყრუებული ქალაქი, როგორც ჩვენი პეტროვსკია! არც თეატრი, არც მოყვარულთა გუნდი, გვაქვს სცენა, მაგრამ უქონლობა სჯობიან: ისეთი ფარდაა, სანამ ააფოფხებენ, ორმოც და თორმეტი ზარის წკარუნი გაისმის.

ძლივს მოვრჩით და გავისტუმრეთ ბ-ნ შუმეიკოს მოლოროსიული დასი. ვაი ჩვენი ბრალი!—გვტანჯა გვტანჯა, ბ-ნმა ალექსანდროვმა. ბოლოს, როგორც იყო, მოვრჩით იმის პრანჭვა-გრეხას, ნეტავ რისთვის ჰკიდებენ ასეთი ვაჟბატონები ხელს იმას, რის შეძლებაც არ შეუძლიანთ.

ამ თვის 13 ვეებერთელა აფიშები გააკრა კაჩუბეი ძებანოვსკისამ, დიდის ამბით გვპირდებოდა, საღამოთი ისეთი წარმოდგენა გაჩვენოთ, მის დღეში არ გენახოთო, მაგრამ გზაზედ არტისტებს, ცოტა არ იყოს, გადაეკრათ და, ვინ იცის, სად ღაბნეულიყვნენ, ასე რომ საღამოთი შეკრებილი საზოგადოება, ელდანაცემი, დაბრუნდა შინ.

ვნახოთ, რას მოგვანიჭებს ქ-ნი კოჩუბეი ძებანოვსკისა.

ნიკო ცინაძე

წერილები
რედაქციის მიმართ

I

ბ-ს მკითხველს, რომელმაც თვისი წერილი «ივერიის» 272 ნომერში დაბეჭდა, ჩვენ ვუპასუხებთ. 4) ეგ წიგნი ბ-ნ გ. ყიფიანისგან ჩვენ შევიძინეთ. ყველგან მიღებულია, როცა წლის დამლევს წიგნი გამოდის, შეიძლება ახალ წლის თარიღი დაესვას.

2) რაც-კი შეეხება ამ შემთხვევას, რომელზედაც ბ-ნი მკითხველი ლაპარაკობს, მე უნდა მოვახსენო, რომ «კულტურის» ფუძს გამოცემას დამპალი და ჭუჭყიანი, შემოცვეთილი კანი ჰქონდა; კანის გამოცვლა აუცილებელი იყო. ამისთვის გარე კანი ახალი გავუკეთეთ, და ამ ახალს კანს, როგორც დღევანდელს დაბეჭდილს ახალის წლის თარიღი დაუსვით.

სოსიკო მერკვილაძე.

II

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადო ახალგაზრდა ქალ-ვაჟთ: აგრაფინა ჭავჭავაძეს, ანნა ჭილაძეს, რაჟდენ გამსახურდიას გ. წვერს და აგრეთვე ძველ სენაკის სააზნაურო სკოლის მასწავლებელი, რომელთაც, 6 დეკემბერს წელს სენაკში ჩემ მიერ გამართულ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებით ორმოცამდე მანეთის შეკრების საშუალება მომცეს ვრთ ღარიბ მოსწავლის დასახმარებლად.

ოლღა ლორთქიფანიძისა.

III

«ივერიის» 181 № ში «შურდულით» ვთხოვდი ბ. კავკავის ქართულ სცენის მომწყობ კომიტეტის თავმჯდომარეს, გამოექვეყნებინა ჩვენ, პეტროვსკელ, შემწირველის სიაც, მაგრამ ჯერ ჯერობით ბ-ნი თავმჯდომარე სდუმს. ამიტომ ვალად ვრაცხ შევატყობინო ბ-ნ თავმჯდომარეს, რომ ფული ბ-ნ კოდოშვილმა შეჰკრიბა მხოლოდ ჩვენ კარგად არ მახსოვს; თუ არ ვცდები, შეწირულების ჯამი აღემატება. 50 მანეთს.

ნიკო ცინაძე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 დეკემბერი.

ჩიფუ. იაპონიამ დაიქირავა კიდეც რამდენიმე ბარგის მზიდველი გემი. მეექვსე სამხედრო კორპუსი მთლად დამზადებულია საომრად ისე, როგორც ფლოტი, ოთხს ესკადრად გაყოფილი.

ყაზანი. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ გადასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა ყაზანის უნივერსიტეტის საიუბილეო დღესასწაულებში 1904 წელს.

ტოკიო. საქმეთა ვითარება კვალად საშიშია და უფროც გამწვავდა. იაპონიამ განკარგულება მოახდინა, რომ საჩქაროდ ააგოს რამდენიმე კრეისერი; გარდა ამისა სამი საუკეთესო იაპონელთა სავაჭრო გემი სამხედრო კრეისერად გადაკეთდება,

ბერლინი. ეს ცნობა. ვითომც გერმანიას განუზრახავს ქვა-ნახშირის საწყობი შეიძინოს წმ. თომას კუნძულზე, ყოვლად უსაბუთოა.

ჯიბუთი. ხელი მოაწერეს აბაშეთისა და ამერიკის სავაჭრო ხელშეკრულობას. მენელიკი მიწვეულია მსოფლიო გამოფენაზე სენ-ლუის, უგზავნის რუზველტს საჩუქრად ორს ლომსა და სპილოს წყვილ ეშვსა.

ნაგასაკი. განკარგულებაა, 20 დეკემბრისთვის მოიყვანონ ნაგასაკში კიუსიკის რკინის გზით 5,000 კაცი, რომლებიც ეხლა კორესაკენ მიდიან. ამას გარდა, ნაბრძანებია კარაცუდგან ნაგასაკში მოიტანონ 20,000 ტონი ქვა-ნახშირი.

20 დეკემბერი.

სტამბოლი. გამოიცა ირადე, რომლითაც მაკედონიის ჟანდარმების უფროსად იტალიის გენერალი უნდა დაინიშნოს. ოსმალეთის ელჩს რომში დაევალა მოელაპარაკოს იტალიის მართებლობას და ერთად შესაფერი კაცი აირჩიონ.

პარიჟი. სიამის ელჩმა მიიღო საფრანგეთის მართებლობის უმრავლესი პირობები დამატებითის ხელშეკრულობის შესახებ. კონვენციას ძალა ექმნება კიდევ თებერვლის ორამდე 1904 წ.

ჩიკაგო. დამწვარ თეატრში 2,000 მაყურებელი ყოფილა. ჯერ 690 მკვდარი იპოვეს. 300 ვერ უპოვიათ.

ბელგრადი. სკუპშჩინამ, 28 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 22-ისა, პირველ წაკითხვის შემდეგ მოიწონა კანონ-პროექტი ბეჭდვისა.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება დამტკიცება უწმ. სინოდის მოხსენებისა შესახებ იმისა, რომ მოსკოვის სასულიერო აკადემიის რექტორი არქიმანდრიტი ევდოკიმე აყვანილ იქმნას ეპისკოპოზად ვოლოკოლამისა.

პეტერბურგის ბირჟა 16 დეკემბერი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	45,95
პარიჟში 100 ფრანკში	37,37$^1/_2$
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	—
ბირჟის დისკონტი	5—6$^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	99$^1/_2$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95$^1/_8$ გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	436 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	325 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	280 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4$^1/_2$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4$^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	92
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	
6% ქუთ. საად მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოქტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს, 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

განცხადებანი

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество расостг рпр.рамотности.

მიიღება ხელის მოწერა

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი „კვალი" მეთორმეტე

გამოვა 1904 წელსაც

ყოველ კვირა დღეს ერთიდან სამ თაბახამდე.

გაზეთის ფასი

ტფილისში: ერთი წლით ღირს 7 მ., ნახევარი წლით—3 მან. 50 კ., სამი თვით—2 მან. თითო ნომერი—15 კ.

ტფილისს გარეთ: ერთი წლით ღირს 8 მ., ნახევარი წლით—4 მ., სამი თვით—2 მამ, თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში—„წერა კითხვის საზოგადოების" კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა), რკინისგზის სადგურზე პირველ კლასის ბუფეტში, ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის" რედაქციაში (რუსის ბაზარი, საეკლესიო სახლში).

ტფილისს გარეთ:

ქუთაისში—მიტროფანე ლაღიძესთან, ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში; ბათომში—სპირიდონ ჭელიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში—კალისტრატე ჭიჭინაძესთან და კარპე მოდებაძესთან; ყვირილაში—ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში, ძველ-სენაკში—არსენ წითლიძესთან; ოზურგეთში—დომეტი შავიშვილთან; საბუნჩაში (ბაქო)—პეტრე მაჭავარიანთან.

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს ხელის მომწერლებს თავიანთ ადრესები გარკვეულად დაწერილი გამოგზავნონ.

ადრესის გამოცვლა ტფილისს გარედ ღირს 40 კ.

ფოშტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „КВАЛИ".

Дозволено цензурою тифлис 20 декабря 1903г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи

დროებითი რედაქტორი გ. ყიფშიძე, გამომცემელი ხარაჯიშვილი.